

„სურომ ფითრით გადაბარდნა“ (2021)

თენგიზ მირზაშვილის ბოლო, დაუმთავრებელ ნამუშევარზე შემთხვევით მოძრავი კურსორის მიერ ამოკითხული RGB-სიდიდეები ამ რიცხვების შესაბამის აუდიო ფრაგმენტებს აჟღერებს ჩუბჩიკასავე წაკითხული სამი სხვადასხვა ლექსიდან, სანამ უკვე ამოკითხული პიქსელები თეთრად იქცევა და „დუმდება“. სამაგიეროდ, ფაქტურა თანდათანობით მეჩხერდება, ფრაგმენტები ნელ-ნელა უფრო გრძელდება და იქცევა სიტყვებად, მერე - სრულ რეციტაციად, ბოლოს კი ჩუბჩიკას ერთერთი ბოლო ლილინი უღერს, მისი ერთი ანიმირებული ხატვის ფონად...